ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1651617

ნომერი: AR1272839

თარიღი : 13.12.2014

გაცემის თარიღი : 19.12.2014

გაცნობის თარიღი : 21.12.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 81 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თინათინ ხვედელიძე პ/ნ 38001040828
- საჩხერე ს. ჭალა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დეკორატიული გაფორმების ობიექტები
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის დეკორატიული გაფორმების ობიექტისა და ტერიტორიის მოპირკეთების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – კრწანისი, გორგასალის ქუჩა #81, შ.პ.ს. "თამთა"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი N 01.18.09.003.001) I კლასის დეკორატიული გაფორმების ობიექტისა და საკადასტრო საზღვრებში ტერიტორიის მოპირკეთების ნებართვას. პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ "თბილისის არქიტექტურის სამსახური".

"მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად არქიტექტურის სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ფართის კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები N 01.18.09.003.001; იჯარის ხელშეკრულება; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი) ქალაქგეგმარებით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – კრწანისი, გორგასალის ქუჩა #81, შ.პ.ს. "თამთა"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი N 01.18.09.003.001) I კლასის დეკორატიული გაფორმების ობიექტისა და საკადასტრო საზღვრებში ტერიტორიის მოპირკეთების შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, რომ ტერიტორიის მოპირკეთება განხორციელდეს შ.პ.ს. "თამთა"–ს მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში ისე, რომ შენარჩნებული იქნას არსებული ხე/ნარგავის სასიცოცხლო ფუნქცია.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge